1-ელი კლასი

მშობლიური, ქართული ენის ფინალის ტესტი **100 ქულიანია.** ტესტში ჯამურად დაგხვდებათ **30 საკითხი (შეკითხვა). ტესტი შედგება 4** სავარჯიშოსგან, რომელიც მოიცავს 30 საკითხს.

ტესტის **ყველა შეკითხვა არჩევითპასუხიანი, დახურული ტიპისაა**. თითოეულ შეკითხვას აქვს სამი სავარაუდო პასუხი: ა, ბ ან გ, რომელთაგანაც მოსწავლეს ერთი სწორი პასუხის შერჩევა ევალება.

სავარჯიშო 1. ანბანი, ხმოვნები და თანხმოვნები

ეს სავარჯიშო 10 ქულიანია და შედგება 5 საკითხისგან, შესაბამისად, თითოეული საკითხის ქულა არის 2.

მოსწავლეს უნდა შეეძლოს:

- ასოების ამოცნობა,
- ანბანში ასოთა რიგითობის ცოდნა,
- გამოტოვებული ასოს აღდგენა,
- ასოებისგან სიტყვის შექმნა,
- ხმოვნებისა და თანხმოვნების გარჩევა.

მაგალითი:
რომელია ქართული ანბანის მეშვიდე ასო:
ა) ე ბ) ზ გ) თ

სავარჯიშო 2. მარცვალი

ეს სავარჯიშო 10 ქულიანია და შედგება 5 საკითხისგან, შესაბამისად, თითოეული საკითხის ქულა არის 2.

მოსწავლეს უნდა შეეძლოს სიტყვაში მარცვალთა რაოდენობის დათვლა, მარცვლით სიტყვების შედგენა, სიტყვაში გამოტოვებული მარცვლის პოვნა, სიტყვების სწორად დამარცვლა.

მაგალითი:
რომელია სწორად დამარცვლილ სიტყვა?
ა) ფო-თო-ლი ბ) მა-ნქან-ა გ) მე-რხ-ი

სავარჯიშო 3. დააკვირდი ნახატს, უპასუხე შეკითხვებს

ეს სავარჯიშო 40 ქულიანია და შედგება 10 საკითხისგან, შესაბამისად, თითოეული საკითხის ქულა არის 4.

მოსწავლე უნდა დააკვირდეს ნახატს და ამ ნახატის მიხედვით გასცეს პასუხი შეკითხვას.

მაგალითი:



წელიწადის რომელი დროა გამოსახული სურათზე?
ა) შემოდგომა ბ) ზამთარი გ) გაზაფხული

სავარჯიშო 4. სიტყვების შერჩევა, სიტყვის მნიშვნელობა

ეს სავარჯიშო 40 ქულიანია და შედგება 10 საკითხისგან, შესაბამისად, თითოეული საკითხის ქულა არის 4.

მოსწავლეს ევალება სიტყვის განმარტება, სიტყვის წინადადებასთან მისადაგება ან მიხვედრა რომელი სიტყვებია მსგავსი თუ საპირისპირო მნიშვნელობის.

მაგალითი:
რას ნიშნავს სიტყვა ,,ამხანაგი“?

ა) დედა ბ) ძმა გ) მეგობარი

შეგახსენებთ, 1-ელი კლასის მოსწავლეებისათვის ფინალური ტური 5 მაისის 12:00-დან 8 მაისის 18:00-მდე ონლაინ ჩატარდება. ფინალთან დაკავშირებული ყველა საჭირო ინფორმაციის ნახვა ამ ბმულზეა შესაძლებელი: https://www.kings.ge/news/1321

კინგსის გუნდი გისურვებთ წარმატებულ ასპარეზობას!